ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 82 | ხუთშაბათი, 9 იანვარი 1903 წ. | გაზეთის № 2035.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლე

უკანასკნელი რომანი

ჯულიანი

(შემდეგი)

მიუხედავად ამისა სამოქალაქო სკოლას ჯერ არც ერთი მოსწავლე არ მოჰკლებოდა და როგორც მოწაფეთა რიცხვით, ისე საზოგადო წარმატებით წმ. ძმების სკოლას არ უფარდებოდა. შედარებით გამარჯვება იყო ესა და მთლად სიმონს წინდახედულობას და სიფრთხილეს მიეწერებოდა, რადგანაც იცოდა თვითეულს როგორ და რა პატივით მოჰპყრობოდა. სიმონს აშკარად მხარს უჭერდა დარასი ტ ჩუმად კიდევ—მოძღვარი ქანდიო. მაგრამ ყველასთვის აშკარა იყო, რომ ადრე თუ გვიან ამ ორ სკოლას შორის ნამდვილი ომი უნდა გამოცხადებულიყო, რომელსაც ერთ-ერთი უნდა ემსხვერპლა, რადგან იმათი ერთმანეთის გვერდით სიცოცხლე შეუძლებელი იყო: ერთს მეორე უნდა გადეყლაპა; ეკლესია ერთს დღესაც ვერ იცოცხლებდა თუ ბავშვების აღზრდას ხელიდან ვამოაცლიდნენ და მორჩილთა გონების დამონაგების სახსარს წაართმევდნენ.

დილით, პატარა და ბნელ სასადილო ოთახში ქალბატონებთან საუზმის დროს, მარკოზი ამ ფიქრებმა ძალინ დაალონა და გულმა უარესად დაუწყო წუხილი. ამ დროს ქ-ნი დიუპარკი დიდის გულ-წრფელობით ამბობდა, რომ თუ პოლიდორმა სარჩევარი მიიღო, მხოლოდ იმიტომ, რომ ჰელაგიამ ღვთის მოყვარეობა გამოიჩინა და პადუის წმ. ანტონს ერთი ფრანკი შესწირაო. ქ-ნი ბერთერო�ე თავის ქნეფით ეთანხმებოდა, ხოლო ფენეფეფეა ლიმოს იუკრდა და ისე უგდებდა ყურს, თითქო ძალიან აინტერესებდა. ამით წაახალისებული დედოფალ ვანა ჭგრძნობდა საკვირველ სასწაულების ამბავს: მოჰკვდა იმისი მაგალითები, თუ რამდენი სიცოცხლე და სიმდერიდ დაუფარავს წმ. ანტონს, როდესაც ორი ან სამი ფრანკი შეეწირავთ კაპუცინების კანტორაში. ამ მაგალითებიდან ადვილი დასასკვნელი ხდებოდა, რა დიდი თანხა უნდა შემდგარიყო იმ პატარა შეწირულებით, რომელიც ხალხის გაპირვებისა და სისულელის ნაყოფი იყო.

ამ დროს შემოიტანეს გაზეთი „პატარა ბომონტი", რომელიც იმ ღამეს დაბეჭდილიყო. მარკოზმა სიამოვნებით ამოიკითხა მკვლელობის შესახებ კორესპონდენცია, რომელშიც სიმონს კარგის მხრით იხსენიებდნენ. ეწერა, რომ ყველასგან პატივცემულს მასწავლებელს სიმონს ყოველის მხრიდან დიდი

„აჰა ანგელოზი გამოუჩნდ ჩვენებით იოსეფს და რქვა: აღსდეგ და წარიყვანე ყრმა ესე და დედა მისი და იფლოდე ეგვიპტედ. (მათ. II—13)

ცხოლო იგი აღსდგა და წარიყვანა ყრმა იგი და დედა მისი ღამე, და წარვიდა ეგვიპტედ. (მათ. II—14).

ეს სურათი გადმოღებულია თ. გიგარინის მიერ ფელეთში დაცულ ძველ ხახარებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრობა გამოუცხადეს უბედურების გამო, რომელიც ასე ეფელლენელად თავს დაატყდაო. ცხადი იყო, რომ კორეს-პონდენტს წერილი დაეწერა იმავე დღეს და იმ არეულობის შემდეგ, რომელიც საჩუქრების დარიგების ცერემონიის დასასრულს მოხდა. მაშინ ყველასთვის ცხადი იყო, რომ ხალხის მეჭარა წმ. ძმების წინააღმდეგ იყო მიმართული და ყრუდ აქა-იქ გაგონილი ხმები, როგორადაც ყველა იმ საძაგელ ამბების გახსენება, რომელიც ერთ დროს ბერებს ჩაეწერებინათ, ამ ახალ შემთხვევას უფრო ამწვავებდა; საქმეს ისეთი სახიფათო ბოლო უჩანდა, რომ შეიძლებოდა კათოლიკეთა და რეაქციონერთა მთელ დასს ჩრჩი მოსცხებოდა. მარკოზმა ეს იცოდა მარტო და ამიტომ გაკვირვებული შესცქეროდა პელაგიას, რომელიც სიხარულით ატაკებული და თითქო რაღაცაზე გამარჯვებული, სუფრას ალაგებდა. მარკოზი განგებ აგვიანებდა ადგომას, რომ პელაგია აელაპარაკებინა:

— ოჰ, ბატონო, გახარებული იმიტომა ვარ, რომ კარგი ამბავი გავიგე. ამ დილას, სურსათისთვის რომ გავედი, რა ამბები არ გავიგე! წინადვე კარგად ვიცოდი, რომ ის ანარქისტები, ეგენ რომ ჩვენ წმ. ძმებს შეურაცხებას აყენებდნენ, სტყუოდნენ და ცოლს სწამებდნენ...

აქ პელაგიამ ჭორის გუდას მოჰხსნა პირი და რაც კი რამ გაგონა კარიდან-კარზე, ან ტროტუარებზე, ან დუქნებში ყველაფერი გადმოალაგა.

როგორც ეტყობოდა, ერთ ღამის განმავლობაში შესამჩნევად თავი ეჩინა ვიდასაც მიერ გადმოგდებულ ლეგრძლიან თესლს, რომელსაც ამ საშინელ მკვლელობის საიდუმლოებით ამღერები ენ ენაზე და გონებაში ადვილად გაიდგა ფესვი. ალბად ჯერ უბრალო მოსაზრებას წარმოსთქვამდა ვინმე, მერე ამ მოსაზრებას სხვა ვინმე სარჩულს გამოუნახავდა, შემდეგ გამოჩნდებოდა მესამე, რომელიც უფრო გაბედვით წამოსთქვამდა ამასვე და მალე ეორი და გამოგონილი ამბავი სინამდვილედ გადიქცეოდა. ბოლოს გამოსძებნიდნენ ზოგიერთ გარემოებას, რომელნიც ალალბედზე ამტკიცებდნენ ამ მოსაზრებას, და მორჩა და გათავდა! ნეტა, რომ ნამდვილია! ამის მნახველები არიან და ყველაფერს იტყვიან კიდეც. ძალიან გულმოსული იყო, რომ ზეფირინი იმის სკოლაში არა სწავლობდა; ხიარება რომ მიიღო პირველად, იმან მუშტები უჩვენა და ღმერთიც შეუგინა... მერე, საკვირველია, რაღა იმ დროს მოჰკლეს საწყალი ანგელოზი ბავშვი, როდესაც ნაკურთხს სუფრიდან მოდიოდა და წმიდა საიდუმლოება ჯერ ისევ ტანში ედგა!

მარკოზი გაშტერებული ყურს უგდებდა დედაკაცს და თან გული დარდით ეესებოდა.

— მერე, რა გინდათ მაგით სთქვათ? ნუ თუ სიმონს აბრალებენ იმ ბავშვის მოკვლას?

— რა მოგახსენოთ! ზოგი მაგას არც-კი ჰმალავს. როგორღაც ძნელი დასაჯერებელია, რომ კაცი საქეიფოდ ბოძონტში წასულიყოს, ათი საათის და ნახევრის მატარებლისათვის ვერ მოესწროს და შინ ფეხით დაბრუნებულიყოს! სიმონი ამბობს, როდესაც დაბრუნდი, შუა ღამეს ჩარეკი უკლდეო; მაგრამ დაბრუნებული კი არავის უნახავს. განა არ შეეძლო მატარებლით დაბრუნებულიყო ერთის საათით უფრო ადრე, სწორედ იმ დროს, როდესაც მკვლელობა მოხდა? მერე, თვეის წადილს რომ შეასრულებდა, სანთელს გაანკრობდა და ფანჯრასაც გაღებულს დასტოვებდა, ვითომ მკვლელი იქიდან შეწოსულიყოს. მასწავლებელ ქალს რუზერასაც, ასე თერთმეტს ჩარეკი აკლდებოდა, ნამდვილად გაუგონია სკოლაში ფეხის ხმა, ხვეწნა-ვედრება, ყვირილი, კარების გაღება და მიხურვა...

— როგორ? რუზერას ქალმა სთქვა ეგა? — წამოიძახა მარკოზმა.— თავის ჩვენებაში ერთი სიტყვაც არ დაუძრავს მაგეებზე! მე დავეესწარი...

— უკაცრავად, ბატონო! ამ საათში ყასბათან რუზერის ქალი ამ ამბავს ყველას უამბობდა და მეც გავიგონე.

გონება დაბნეული კაცი ყურს უგდებდა.

— მასწავლებლის თანაშემწეს, მინოტასაც ძალიან უკვირს თავის უფროსის ხანგრძლივი ძილი იმ დილას. მართლაც, გასაკვირველია იმ კაცის საქმე! რაღა სწორედ იმ დღეს გახდა ვინ-



ყმაწვილების თამაშობა.—სურ. დინეტისა.

შესანიშნავი აქ მხოლოდ ის იყო, რომ მთელი ეს ყრუდ ნამოქმედარი საქმე, ეს ჭორი, რომელიც არავინ იცოდა ხიდან იწყებოდა, რომელიც თან-და-თან ყველას გულში ეკვს უდებდა და გონებას უშფოთებდა, მიმართული იყო წმ. ძმების სასარგებლოდ და სიმონის საწინააღმდეგოდ.

— იცით, რა მოგახსენოთ, ბატონო! სკოლის უფროსს ის ბავშვი არც უყვარდა და ძალიან ცუდადაც ექცეოდა; გარეშეულებელი, როდესაც სახლში ბავშვი მოუკლეს? იმას ნუღარ ვიტყვით, რომ ერთი ცრემლიც ვერ ჩამოგდო და ფოთოლ-სა�კანკალდება, ბავშვის გვიმს რომ უყურებდა.

მარკოზს უნდოდა გაეწყვეტინებინა ლაპარაკი, მაგრამ პელაგია გაჯავსებული ყურს ალარ უგდებდა:

— მაშ ის ქალაღლის ნიშანში, რომელსაც იმის კლასში ხმარობენ, ბავშვის პირში საიდან გაჩნდა, თუ იმის მოკლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის? ასე არ არის? მარტო მასწავლებელს შეეძლო ჰქონოდა ჯიბეში ამნაირი ნიმუშის ქაღალდი. ამბობენ კიდეც, რომ იმ ნიმუშზე იმისი ხელია მოწერილიო. მეხილესთან ერთი ქალი გვარწუნებდა, რომ სასაჩრთლოს მოხელეებმა სწორედ ეს ნიმუშის ქაღალდი იპოვნეს იმის ოთახშია.

ერთი კი სცადა მარკოზმა სიმართლის თქმა: უამბო პელაგიას, რომ იმ ქაღალდზე ასომთავრულად მოწერილი ხელი არ წაიკითხებოდა; აუხსნა სიმონის ნათქვამიც, რომ ამ ნაირი ნიმუშის ქაღალდი იმას თავის დღეში ხელში არა ჰქონია, თუმცა

ბეჯითი მოსწავლენი.—სურათი მოთხრობილებისა.

შესაძლებელია, ყველა სკოლაში აღმოჩენილიყო, რადგან ყველგან ხმაობდნენ. მაგრამ, როგორც პელაგიამ კვლავ დაბეჯითებით დაუწყო ლაპარაკი, რომ ამ დილით, სახლის გაჩხრეკის დროს, სამართალმა ეუბნა გარეშე საბრალმდებლო საბუთები აღმოჩენია, მარკოზი გონება აღარ ეყოფოდა, რადგან ჰგრძნობდა, რომ იმ საშინელ არეულობაში, რომლის დროსაც ყველას გონება დაბნეული ჰქონდა, ლაპარაკი ტყუილი იქნებოდა.

— იცით, ბატონო, როცა ურიასთანა გაქვთ საქმე, ყველაფერს უნდა მოელოდეთ. ეს არის ეხლა ერთი მერძევე მეუბნებოდა, რომ მაგ რჯულის ხალხს არც ოჯახისა რამ სწამთ, არც საშობლისა და მარტო ეშმაკთან უჭირავთ საქმეო, სწვავენ და ჰკლავენ ისე, უმიზეზოთ, იმიტომ რომ სიავის ჩადენა ესიამოვნებათო. რაც უნდა ბეერი სთქვათ, ქვეყანას ვერ დაიჯერებთ, რომ ურიას ბავშვის სისხლი არ უნდოდა, რომ ეშმაკთან თავის მურტალი საქმე გაერიგებინა; განზრახ ელოდა ბავშს ზარება მიეღო, რომ განსპეტაკებული და ჯერ ისევ საიდუმლო ნაწილები ვაიღენთილი მისი სხეული საზიზღრად წაებილწა და მერე დაეჩრო...

აშკარა იყო, რომ სიმონს ბრალს სდებდნენ, როგორც ურიას, — ვითომ ქრისტიან ბავშვის სისხლი რაღაც ურიულ სარწმენოების წესი-რიგის ასაგებად ჭნდომებოდეს. საუკუნოებით გადმოცემულ ამ ბრალდებას ხალხის ბობოში კვლავ თავი ეჩინა და შემთხვევაც ეძლეოდა ჩვეულებრივი ნადირობა გაემართა ბავშვეის მხოცველ და ჭაების მომწამველელ ურიებზე.

ქენვეიეემ ორჯელ მოინდომა სიტყვა გაეწყვეტინებინა და წინააღმდეგობა გამოეცხადებინა მარკოზთან ერთად, რომელიც სიბრაზით კანკალებდა, მაგრამ მოერიდა დიდიდედის გაჯავრებას. ეს უკანასკნელი დიდის სიამოვნებით ყურს უგდებდა თავის კაჭკაჭა დედაკაცს ლაპარაკს და თავის ქნევით ახალისებდა. ერთის სიტყვით, ქალბატონი დიუპარკი დღესასწაულობდა. ისე დარწმუნებული იყო ამ ამბის შემდეგ მარკოზის დამარცხებას, რომ საჭიროდ აღარ დაინახა ხელმეორედ გაეფრთხილებინა და დაჰკმაყოფილდა მარტო იმას, რომ ჩუმად მყოფ თავის ქალს ბერტიროს მიჰმართა:

— სწორედ ასეთივე შემთხვევა მოხდა ამას წინად, სენ-

J-13/208

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ